სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ღებინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	100%

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****მოგების გადასახადი**

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისსაქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს

მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტი. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემილებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო

განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრუდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებული, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გაღწევის ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებული, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ვერტმფრენების იჯარის, მგზავრობის ღირებულებისა და ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული. გაუფასურების ხარჯები წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში შესაბამისად.

ფულადი მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფულად მოთხოვნებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, ფასს 9-ით გათვალისწინებული რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული, რომელიც მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობიდან გამომდინარეობს, თუ საკრედიტო რისკი წარმოქმნის შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. თუ ფინანსური აქტივი განიმარტება როგორც შეძენილი ან შექმნილი

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივი, ფულადი მოთხოვნების რეზერვი აქტივის საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული. ფულადი მოთხოვნების რეზერვის საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრს შეადგენდა 976,404 ლარს, 2018 წელს, 353,094 ლარს და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 235,072 ლარს).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მცირეფასიანი ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	1,000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი, 2018	39,312	1,468,695	3,974,825	27,871	97,174	16,153	14,143	522,438	320,781	6,481,392
შემოსვლა	-	1,551	116,138	770	-	-	-	265,581	73,500	457,539
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	9,326	-	9,326
31 დეკემბერი, 2018	39,312	1,467,059	4,090,963	28,641	97,174	16,153	14,143	797,344	394,281	6,945,070
შემოსვლა	247,000	30,498	1,579,900	3,409	525	3,530	-	72,370	92,300	2,029,532
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	286,312	1,497,557	5,670,863	32,049	97,700	19,683	14,143	869,714	486,581	8,974,602
დაგროვილი ცვეთა										
1 იანვარი, 2018	-	126,258	211,701	10,558	34,907	4,353	3,864	179,307	82,691	653,638
დაგროვილი ცვეთა	-	60,501	450,000	5,284	18,707	3,566	1,814	141,814	73,677	755,363
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	9,326	-	9,326
31 დეკემბერი, 2018	-	186,758	661,701	15,843	53,613	7,919	5,679	330,447	156,368	1,418,327
დაგროვილი ცვეთა	-	62,025	536,250	5,966	18,812	3,594	1,814	154,474	88,255	871,191
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(3,200)	-	(3,200)
31 დეკემბერი, 2019	-	248,784	1,197,951	21,809	72,425	11,513	7,493	481,721	244,623	2,286,318
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი, 2017	39,312	1,342,437	3,763,124	17,313	62,267	11,800	10,278	343,131	238,090	5,827,754
31 დეკემბერი, 2018	39,312	1,280,301	3,429,262	12,798	43,561	8,235	8,464	466,898	237,913	5,526,743
31 დეკემბერი, 2019	286,312	1,248,773	4,472,912	10,240	25,274	8,170	6,650	387,994	241,958	6,688,284

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***6. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში	628,297	55,613	498,367
ფული ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	462,820	114,341	695,524
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,091,117	169,954	1,193,891

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	1,364,769	1,369,642	683,247
მოთხოვნები უცხოური საწარმოს მიმართ	22,126	22,126	-
გაუფასურების რეზერვი	(976,404)	(353,094)	(235,072)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	410,491	1,038,674	448,175

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	6,931,663	4,934,799	2,208,866
ჯარითის შესაძენად გადახდილი ავანსები	212,558	217,854	154,657
სხვადასხვა მომსახურების შესაძენად გადახდილი ავანსები	33,697	40,138	51,872
არმატურის შესაძენად გადახდილი ავანსები	1,591	1,125	1,225
სხვადასხვა მარაგის შესაძენად გადახდილი ავანსები	1,221	2,854	1,100
სულ გადახდილი ავანსები	7,180,730	5,196,770	2,417,720

9. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მზა პროდუქცია	1,936,386	2,483,332	1,207,444
ნედლეული და მასალები	1,806,367	735,197	605,594
საქონელი	137,505	510,302	499,762
დამხმარე მასალები	104,357	388,100	149,629
საწვავი	79,300	2,242	2,496
სხვა	778	778	778
სულ მარაგები	4,064,694	4,119,952	2,465,703

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური ვალდებულება:			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	761,933	757,075	510,458
არაფინანსური ვალდებულება:			
მიღებული ავანსები	29,482	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	791,416	757,075	510,458

11. სასესხო ვალდებულებები

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:

	დაწყების თარიღი	დასრულებ ის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფ/პ იოუმეი ჩენ	28-ნოე-16	28-ნოე-19	20%	-	114,605	614,766
ფ/პ იოუმეი ჩენ	19-ივლ-17	18-ივლ-20	20%	-	67,930	366,075
ფ/პ ქაიმინ ჭუნგ	28-ნოე-16	28-ნოე-19	20%	-	547,151	194,261
ფ/პ ქაიმინ ჭუნგ	19-ივლ-17	19-ივლ-20	20%	130,253	343,369	24,649
ფ/პ ქაიმინ ჭუნგ	5-იან-19	5-ივლ-20	20%	837	-	-
ფ/პ ლაიდ ჩენ	01-ივლ-15	29-ნოე-16	20%	-	-	470,612
სს ბაზის ბანკი	30-ივნ-17	30-ივნ-22	NBG+5%	747,919	668,096	599,903
სს ბაზის ბანკი	14-თებ-19	14-თებ-20	*NBG+5.25%	501,187	-	-
სულ:				1,380,196	1,741,151	2,270,266
სესხის ძირი	-	-	-	1,226,384	1,204,257	1,410,803
საპროცენტო ვალდებულება	-	-	-	153,812	536,894	859,463
სულ:				1,380,196	1,741,151	2,270,266

*NBG+5.25% - საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების განაკვეთს) დამატებული 5.25 %

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფ/პ ქაიმინ ჭუნგ	28-ნოე-16	28-ნოე-19	20%	-	-	294,400
ფ/პ ქაიმინ ჭუნგ	19-ივლ-17	19-ივლ-20	20%	-	-	265,600
სს ბაზის ბანკი	30-ივნ-17	30-ივნ-22	*NBG+5%	1,364,126	2,096,572	2,740,831
სს თიბისი ლიზინგი	2-აგვ-17	25-ივლ-19	-	-	31,039	98,073
				1,364,126	2,127,611	3,398,904

*NBG+5.5% - საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების განაკვეთს) დამატებული 5.5 %

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***12. საგადასახადო აქტივი**

კომპანიის საგადასახადო აქტივი 2019, 2018 და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება : ქონების გადასახადისაგან საშემოსავლო გადასახადისაგან და გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

14. შემოსავალი

კომპანია აწარმოებს თერმოგამტკიცებულ 12-დან 14 მილიმეტრის ჩათვლით დიამეტრის არმატურას, რომელიც რელიეზაციას კლიენტებზე ახდენს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

15. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
საწარმოო მასალები	16,634,025	14,206,003
ცვეთის ხარჯი	788,122	627,466
ხელფასები	512,653	461,035
ტრანსპორტირება	15,763	29,873
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17,950,562	15,324,376

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
მასალის ხარჯი	593,600	127,674
ძირითადი საშუალებების ცვეთა	140,989	121,758
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	107,738	77,369
გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა	85,306	54,245
ხელფასის ხარჯი	70,578	88,800
დაზღვევის ხარჯი	41,869	39,449
კომუნალური გადასახადები	32,799	27,317
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	4,286	66,316
სხვა ხარჯები	26,441	48,908
ბანკის მომსახურების ხარჯი	25,752	15,186
რემონტის ხარჯი	20,784	12,964
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,967	528
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,161,109	680,515

17. სხვა ხარჯი

კომპანიის სხვა ხარჯებს 2019 და 2018 წლის დასრულებული წლებისთვის წარმოადგენს საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***18.საკურსო სხვაობით წარმომადგენელი წმინდა (მოგება)/ზარალი**

	2019	2018
არარეალიზებული კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)	(46,254)	62,399
რეალიზებული კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)	42,880	(12,271)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(3,374)	50,128

19. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ

გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს

24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნასესხებული ფულადი საშუალებები				
იოუმეი ჩენ	დამფუძნებელი	-	-	504,700
იოუმეი ჩენ	დამფუძნებელი	-	-	335,300
ქაიმინ ჭუნგ	დამფუძნებელი	-	560,000	560,000
ქაიმინ ჭუნგ	დამფუძნებელი	-	265,600	265,600
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		2019	2018	
შრომის ანაზღაურება		14,500	17,052	

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 ივნისს:

2020 წლის მარტში კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი ღირებულებით 147,000 ლარის ღირებულების, სადაც უნდა განთავსდეს მრავალფუნქციური შენობა ნაგებობა, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი ადმინისტრაციული შენობა, სასაწყობე ფართები და შოურუმი. აღნიშნული შენობის გეგმარება და კონსტრუქციულ ნახაზზე მუშაობა დაწყებულია.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამასთან, ზუსტი წინასწარმეტყველების გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

**შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანი“
მმართველობითი ანგარიშგება
2019**

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანი“-ს (ს/ნ:416311707, შემდგომში, კომპანია) ერთ-ერთი წარმატებული პირდაპირი უცხოური სამრეწველო ინვესტიციაა საქართველოში. ჩინური ინვესტიციით შექმნილმა კომპანიამ საქართველოში საქმიანობა დაიწყო 2014 წლიდან. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ხარისხიანი ფოლადის სამშენებლო არმატურის და გლინულების წარმოება. კომპანიამ საქმიანობის დასაწყებად ქ. რუსთავთან ახლოს სოფელ აღთაკლიაში შეიძინა მიწის ნაკვეთი და ააშენა მეტალურგიული ქარხანა. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია.

შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანი“-მ მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურითა და კვალიფიციური ტექნიკური პერსონალით, თავის ხარისხიანი პროდუქციით, მოკლე პერიოდში დაიმკვიდრა თავისი ადგილი საქართველოს ბაზარზე. ის ფლობს მანქანა-დანადგარების, თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებს, რათა უზრუნველყოს მაღალ-ავტომატიზირებული და ხარისხიანი პროდუქციის წარმოება. შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანიმ“ ქართველ მომხმარებელს მისცა ეფექტიანი არჩევანის გაკეთების საშუალება, ადგილობრივი წარმოების არმატურის მიწოდებით. კომპანია სამშენებლო მასალების წარმოებას ახორციელებს ადგილობრივი ჯარტის გამოყენებით.

კომპანიას გააჩნია უწყვეტი დნობის სისტემატიზირებული არმატურის წარმოების ხაზი, ინდუქციური ღუმელი, ციხცვის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი, თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობები და საგლინავი საამქრო.

კომპანიის ლოგო



ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ბაზარზე მეორადი ლითონის (ჯარტის) გადამუშავებისა და სხვადასხვა ზომის (დიამეტრის, სიგრძის) არმატურის წნელების წარმოებას ახდენს რამოდენიმე მსხვილი მწარმოებელი, რომელთაც უკავიათ ბაზრის 95 %, ხოლო 5 % არის იმპორტირებული არმატურის წნელები. ბაზრის მთავარი მოთამაშეები ვისზეც ნაწილდება 95 % არიან : “რუსთავის ფოლადი” (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა) , შპს “ჯეოსთილი” და შპს “რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანი”.

პროდუქციის წარმოება

შპს „რუსთავი სტილ კორპორეიშენ კომპანია“ ახორციელებს მეორადი ლითონის (ჯარტი) გადამუშავებას და აწარმოებს თერმოგამტკიცებულ 8-14 მილიმეტრის სიგრძის არმატურის წნელებს და 8 მმ-იან გლინულას, კერძოდ:

- არმატურა ქ-14 მმ A-III -კლასი (სიგრძე 12მ);
- არმატურა ქ-10 მმ A-III -კლასი (სიგრძე 12მ)
- არმატურა ქ-12 მმ A-III-კლასი (სიგრძე 12მ)
- არმატურა 8 მმ A-III-კლასი (სიგრძე 12მ)
- გლინულა 8 მმ A-I-კლასი (სიგრძე 6მ)

არამატურის წნელი



2019 წლის საანგარიშო პერიოდში არამატურის თვიური წარმოება საშუალოდ შეადგენდა 1265 ტონას, რაც წლის ბოლოს შეადგინა 15180 ტონა. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში წმინდა მოგება შეადგინა 4,774,799 ლარი.

2017 წლის ივნისის თვეში დამატებითი პროდუქტის გლინულას საწარმოო ხაზისთვის კომპანიამ მოიპოვა დაფინანსება „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების 80 პროცენტი საქართველოს მოქალაქეა.

კომპანიის ხელვა და მიზნები


- ფეხდაფეხ მიჰყვეს განვითარებული მოსახლეობის ამბიციურ მოთხოვნებსა და სურვილებს;
- შესთავაზოს მომხმარებელს მრავალფეროვანი ინოვაციური მომსახურება;
- პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების, კლიენტების და საზოგადოების მოთხოვნებს;
- შეარჩიოს ინოვაციური და კრეატიული თანამშრომლები, დაასაქმოს ისინი კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიხედვით;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიაღწიოს უმაღლეს ხარისხს.

შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“-ს საქმიანი ეტიკის მთავარი მახასიათებლებია ნდობა და ხარისხი, მმართველი გუნდის დაუღალავი შრომა, ბაზრის მოთხოვნის მუდმივი კონტროლი და სწორი სტრატეგია. კომპანია მომხმარებელს ხარისხიან პროდუქტს, კომფორტულ მომსახურებას და გადახდის მოქნილ პირობებს სთავაზობს. ამავდროულად, კომპანია არ ივიწყებს თანამედროვე ტენდენციებს.

შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“-ს ხელვა და მიზნები: ხარისხიანი, საზოგადოების მოთხოვნაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროდუქტის შექმნა, რა თქმა უნდა, კვალიფიციური და პროგრესული პერსონალის დახმარებით.


შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“-ს სჯერა, რომ ხარისხიანი პროდუქცია უზურუნველყოფს მომხმარებლისთვის მის უსაფრთხო და გრძელვადიან გამოყენებას. რაც უზურუნველყოფს მომხმარებლებთან გრძელვადიან პარტნიორულ თანამშრომლობას.

კომპანიის მესაკუთრეები:




მესაკუთრე იოუმეი ჩენ, E39406768 /ჩინეთი/ წილი 8.6022%
მესაკუთრე ქაიმინ ჭუანგ, E31224407, 01891013137 /ჩინეთი/ წილი 27.2953%
მესაკუთრე გუოვეი ჩენ, G40945291, 01291022191 /ჩინეთი/ წილი 54.0041%
მესაკუთრე გუოხუი ჩენ, G35473488, 01891023072 /ჩინეთი/ წილი 1%
მესაკუთრე შუნლიანგ ჩენ, E17844322, 01691026851 /ჩინეთი/ წილი 9.0984%

კომპანიის სტრუქტურა



კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა

არმატურის მწარმოებელ შპს “რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი” თანამშრომელთა რაოდენობა განყოფილებების მიხედვით:



გაყიდვების განყოფილებაში დასაქმებულია 2 თანამშრომელი.
 ჯარტის საკაზმო ობიექტის განყოფილებაში დასაქმებულია 16 თანამშრომელი.
 ფოლადსადნობ განყოფილებაში დასაქმებულია 18 თანამშრომელი.
 უწყვეტი ჩამოსხმის ხაზის განყოფილებაში დასაქმებულია 6 თანამშრომელი.
 საგლინის განყოფილებაში დასაქმებულია 24 თანამშრომელი.
 ფინანსურ განყოფილებაში დასაქმებულია 1 თანამშრომელი.

შრომის უსაფრთხოება

საქართველოში საქმიანობის დაწყების დღიდან შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ დიდ ყურადღებას აქცევს შრომის უსაფრთხოებას. კომპანიაში შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების განყოფილება/სამსახური. აღნიშნული განყოფილება/სამსახური ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების, რეგლამენტებისა და სტანდარტების საფუძველზე, ასევე საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით ახორციელებს კონტროლს წარმოების პროცესების უსაფრთხო მიმდინარეობაზე. კომპანიის შრომის უსაფრთხოების განყოფილებაში/სამსახურში დასაქმებულები არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

2018 წლის მარტის თვიდან მოქმედი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან კომპანია საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად აწარმოებს მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაიარა შესაბამისი საქმიანობის სავალდებულო რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

კომპანიის ყველა დასაქმებული თანამშრომლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა პირები დაზღვეულები არიან სს სადაზღვეო კომპანია „პსპ დაზღვევა“-ში.

მარკეტინგული გადაწყვეტილებები

ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიისათვის მარკეტინგი ანუ ბაზარზე საქმიანობის წესი/ხასიათი, რომელიც მიმართულია მოსახლეობასთან/პარტნიორებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ, გამყარებისაკენ და წარმოების გაუმჯობესებისაკენ. ცნობილია, რომ კომპანიის მარკეტინგი პირველ ეტაპზე მიმართულია მომხმარებლებზე. პირველ რიგში, ესაა პროდუქციის პროფესიონალური პრეზენტაცია/წარმოდგენა, რისთვისაც ხშირად ვიყენებთ ვიდეოპრეზენტაციას, კატალოგებს და სხვა.

ამოცანები და სტრატეგიები

ამოცანები

- მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის სამშენებლო პროდუქციის მიწოდება სამართლიან და ბაზრისთვის კონკურენტუნარიან ფასებში.

- პროფესიონალიზმის, პატიოსნებისა და სამართლიანობის უმაღლესი დონის შენარჩუნება მომწოდებლებთან, ქვეკონტრაქტორებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობაში.
- იყოს უმაღლესი ხარისხისა და დონის სამშენებლო სერვისების განსაკუთრებული მიმწოდებელი და ამასთანავე უზრუნველყოს თავისი პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
- იყოს ყველაზე პატიოსანი და ეთიკური პარტნიორი მოცემულ სფეროში.

სტრატეგიები

- არ გამოორჩეს მომხმარებელთა სურვილები და მოთხოვნები და სათანადოდ უპასუხოს მათ;
- მომხმარებელს შესთავაზოს ხარისხიანი პროდუქცია და ასევე შესთავაზოს მრავალფეროვანი, მოხერხებული და ნოვაციური სერვისები;
- უზრუნველყოს კომპანიაში კვალიფიციური, ნოვატორული და კრეატიული მიდგომებისა და უნარების მქონე თანამშრომლების აყვანა;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვალიფიციური თანამშრომლების მეშვეობით უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფა.

რისკების ანალიზი

სამშენებლო რისკები

გაუთვალისწინებელი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები დაკავშირებული რუსთავი სთილ კორპორეშენ კომპანი - ის ფუნქციონირებასთან, რაც გამოიწვევს წარმოების შენელებას და დამტებით კაპიტალურ დანახარჯებს.

საწარმოო რისკები

დენის არათანაბარი მიწოდება - დენის არათანაბარი მიწოდება გამოიწვევს მანქანა დანადგარების დაზიანებას , რაც დაკავშირებული იქნება დამატებით დიდ კაპიტალურ დანახარჯებთან და წარმოების გაჩერებით გამოწვეულ დიდ ფინანსურ ზარალთან.

კონკურენტულობის დაკარგვა - როდესაც კომპანია ვერ მოახერხებს მის მიერ დაგეგმილი პროდუქციის რეალიზაციას და მოახდენს წარმადობის შემცირებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს.

სავაჭრო რისკები

ნედლეულის ფასის ზრდა მომწოდებლების მიერ - ნედლეულის ფასის ზრდა გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას რაც დაკასირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

წარმოებულ პროდუქციაზე ფასის დავარდნა -პროდუქციაზე ფასის შემცირება გამოიწვევს მომგებიანობის შემცირებას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ რისკებთან.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმოუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროექტების შეჩერება, შეწყვეტა, პროექტებში ინვესტირებული თანხების ვერმიღება.

ამ მიზნით კომპანია ახდენს პროექტების დივერსიფიკაციას სახეობების, ტიპების და დაფინანსების წყაროების მიხედვით. აქტიურად იყენებს საფინანსო დაზღვევის მექანიზმებს. აკეთებს პროექტების რისკ ანალიზებს, როგორც სატენდერო ასევე განხორციელების ყველა ეტაპზე

ოპერაციული რისკი

ოპერაციების რაოდენობის ზრდა, რომელიც თავისთავად გულისხმობს თვისობრივ ცვლილებებს, ითხოვს ოპერაციული პროცესების სწორ გამართვას და პროფესიონალ/გამოცდილ კადრებს.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები

- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსირებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხსიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი:

გუოხუი ჩენ, G35473488, 01891023072 /ჩინეთი/

- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.
- სავალუტო რისკების დაბალანსებისთვის, ჩვენ ვგეგმავთ პროექტების დივერსიფიცირებას დაფინანსების წყაროების მიხედვით. სხვადასხვა ვალუტაში არსებული კონტრაქტების საფუძველზე ხდება სავალუტო რისკების მართვის შესაძლებლობების შექმნა.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი:

გუოხუი ჩენ, G35473488, 01891023072 /ჩინეთი/

